

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილება მიზნად ისახავს ძლიერი და დამოუკიდებელი სკოლის არსებობას, რომელიც ორიენტირებული იქნება მომავალი თაობისათვის განათლების მიღების მიზანზე და არა ერთი კონკრეტული მიზნის - სკოლის გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადებაზე.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, რასაც სკოლებში განათლების მიღება წარმოადგენს. კერძოდ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვანია, რომ მე-11 მე-12 კლასელებთან მიმართებაში აქცენტი განათლების რეალურ მიღებაზე გაკეთდეს და არა სკოლის გამოსაშვები გამოცდებისათვის მომზადებაზე.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

შესაბამისი საგნების სწავლებისას აქცენტი გაკეთდება იმ არსობრივ ზოგადსაგანმანათლებლო სიკეთეებზე, რასაც საგანი ფარავს და არა იმ ტექნიკურ სტანდარტებსა თუ უნარებზე რაც საჭიროა მოსწავლემ გამოიმუშავოს იმისათვის, რომ წარმატებით ჩააბაროს სკოლის გამოსაშვები გამოცდები.

წარმოდგენილი ცვლილების შედეგად, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის გაცემა მოხდება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დაძლევის შედეგად სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტს მიიღებენ ის პირები, რომლებმაც 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე დაძლიეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხური და მონაწილეობა არ მიიღეს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში და ის პირები, რომლებმაც 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე დაძლიეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხური და მონაწილეობა მიიღეს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში, თუმცა ვერ დააგროვეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის მოპოვებისათვის საჭირო საგნებში დადებითი შეფასება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოქმედი რედაქციის თანახმად, სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურისა და სკოლის გამოსაშვები გამოცდების დაძლევას, რის საფუძველზედაც გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წარმოდგენილი კანონპროექტი თანახმად, ხდება სკოლის გამოსაშვები გამოცდების გაუქმება, რაც გულისხმობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დაძლევის შემდგომ გაცემას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანის საჭიროება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის რიგ მუხლებში.

გარდა აღნიშნულისა, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს გარდამავალი და დასკვნითი დებულებების ნაწილში 63⁷ მუხლის შემდეგ ემატება გარდამავალი შინაარსის ნორმა 63⁸ მუხლის სახით, რომლის თანახმადაც ხდება იმ პირების სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების ვალდებულებისაგან გათავისუფლება, რომლებმაც ვერ მოიპოვეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, კეროდ, პირებზე, რომლებმაც 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე დაძლიეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხური და მონაწილეობა არ მიუღიათ სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში და პირებზე, რომლებმაც 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე დაძლიეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხური და მონაწილეობა მიიღეს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში, მაგრამ ვერ დააგროვეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის მოპოვებისათვის საჭირო საგნებში დადებითი შეფასება.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტი განხილულ უნდა იქნეს დაჩქარებული წესით, რაც განპირობებულია იმ სამართლებრივ აქტებში ცვლილების შეტანის საჭიროებით, რის საფუძველზეც წესრიგდება სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარება. შესაბამისი ცვლილების დაჩქარებული წესით განუხორციელებლობის შემთხვევაში, სკოლის გამოსაშვები გამოცდების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი ვალდებული იქნება 2019 წელს ჩასატარებელი ზემოაღნიშნული გამოცდებისათვის დაიწყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რაც თავის მხრივ გულისხმობს სკოლის გამოსაშვები გამოცდების დაგეგმვას, გამოცდის პროცესის ორგანიზებას, რეგისტრაციას და სხვა საჭირო ეტაპების დანიშვნას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რადგან „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით პროგრამის „გამოცდების ორგანიზება“ (პროგრამული კოდი 32 04 01) ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებებიდან სკოლის გამოსაშვები გამოცდებისთვის გათვალისწინებული იყო დაახლოებით 1.5 მლნ ლარი, რომელიც მიმართულ იქნება ცენტრის მიერ განსახორციელებელ სხვა ღონისძიებებზე, მათ შორის საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევების ხარჯების დასაფინანსებლად.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ,

ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა)სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ)კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.